თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 801

" 23 " 05 2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში სტაჟიორთა მიღებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

"ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ბ", "ვ", "კ" ქვეპუნქტების თანახმად:

1. გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში კონკურსი სტაჟიორთა მიღებაზე. კონკურსანტების შერჩევა მოხდეს 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე კონკურსანტების შერჩევა მოხდება მათ მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმის შესაბამისად. მეორე ეტაპზე კანდიდატები შერჩეული იქნეს ზეპირი გასაუბრების (ინტერვიუს) გზით.

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა დანართი №1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს კონკურსანტის სააპლიკაციო ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი განათლების (მინიმუმ ბაკალავრის კურსდამთავრებულებს) მქონე არქიტექტორებს. კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი ძირითადი მოთხოვნებია: არქიტექტორად მუშაობის მინიმუმ ერთ წლიანი გამოცდილება; კანონმდებლობის ცოდნა და კომპიუტერული პროგრამების ''ARCHICAD,, ან/და "AUTOCAD"-ის სრულყოფილად ცოდნა.

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები შეიძლება წარმოადგინონ როგორც ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მისამართზე stajiori@tbilisi.gov.ge ასევე ქ. თბილისის მერიის კანცელარიაში, მის. ჟ. შარტავას ქუჩა №7, I სართული – ოპერატორი № 12, 14, 15, სამუშაო საათებში 9:00 – 19:00 საათამდე.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 28 მაისიდან 01 ივნისის ჩათვლით.

7. გასაუბრების თარიღის შესახებ კანდიდატებს დამატებით ეცნობოს სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე და დაბარებული იქნენ ქალაქ თბილისის მერიის შენიბაში (მის. ჟ. შარტავას ქუჩა №7) კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადების მიღების დასრულებიდან ორი კვირის ვადაში.

8. ის კანდიდატები, რომლებიც სამსახურში გასაუბრების შედეგად მიიღებიან სტაჟირებაზე გაივლიან სტაჟირების 2 თვიან კურსს. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელი იქნება სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დასაქმება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

9. ეს ბრძანება საჯაროდ განთავსებულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე architect.tbilisi.gov.ge

10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გელა ტალახაძეს და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს გიორგი ქემხაშვილს.

11. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი **არისი ბოჭოიძე**